




საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ეკა ბესელიას

ასლი: საქართველოს პარლამენტის აპარატის

საორგანიზაციო დეპარტამენტს



ქალბატონო ეკა,

საქართველოს პარლამენტის 108 წევრის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ (N07-3/52; 01.05.2017) საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტებთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ მოსაზრებებსა და წინადადებებს:

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის:

მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი - „არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობა საქართველოს თითოეული მოქალაქის ვალია“.

აღსანიშნავია, რომ არჩევნებში, ისევე როგორც საჯარო საქმეებში მონაწილეობა, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს თითოეული მოქალაქის უფლებას. ამასვე აღნიშნავს კონსტიტუციის პროექტის 24-ე მუხლი (საარჩევნო უფლება). ამასთან, ვალდებულების კონტექსტში, თავისუფალი არჩევნების უფლებაზე საუბარია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი ოქმში, რომლის თანახმად, „სახელმწიფოს მოვალეობას წარმოადგენს, უზრუნველყოს თავისუფალი არჩევნების ჩატარება გონივრულ ინტერვალებში, ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის აზრის თავისუფალ გამოხატვას“. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, არჩევნებში მონაწილეობა არის მოქალაქის აღიარებული უფლება და არა ვალდებულება. ვალდებულება კი, ეკისრება მხოლოდ სახელმწიფოს, რათა უზრუნველყოს ხსენებული უფლების დაცვა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს საარჩევნო კოდექსის ჩანაწერი - „აქტიური საარჩევნო უფლება – საქართველოს მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში

ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებში, რეფერენდუმში, პლემბისციტში“. აღნიშნული ფორმულირების მიხედვით, საარჩევნო კოდექსი წინააღმდეგობაში მოვა იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ აქტთან - კონსტიტუციასთან.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასურველია, კონსტიტუციის პროექტის შესაბამისი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობა წარმოადგენს საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლებას, რომელიც დაცულია/უზრუნველყოფილია კონსტიტუციითა და კანონით.“.

მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი - „პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირებაში“.

იმის გათვალისწინებით, რომ დემოკრატიულ საზოგადოებებში, ასევე დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, სწორედ ხალხის პოლიტიკური ნება არის მიჩნეული, როგორც პოლიტიკური პარტიების საქმიანობისა და პროგრამების განმსაზღვრელი ფაქტორი და არა პირიქით, სასურველია, კონსტიტუციის პროექტის ხსენებული ჩანაწერი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში“.

მე-5 მუხლი - „საქართველო არის სოციალური სახელმწიფო“, „სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური თანასწორობის პრინციპების განმტკიცებაზე“, „სახელმწიფო ზრუნავს საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე“.

ზემოაღნიშნული ახალი შემოთავაზებები საჭიროებს დამატებით მსჯელობას როგორც დეკლარაციულად ასახვის, ასევე შინაარსობრივი მიზანშეწონილობის კუთხით, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც მოგეხსენებათ, „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „საარსებო მინიმუმი არის ერთ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას“. საგულისხმოა, რომ ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საარსებო მინიმუმი არის სოციალური ორიენტირი, რომელიც გამოიყენება „ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, შემწეობებისა და სხვა სოციალური გასაცემლების მინიმალური ოდენობის განსაზღვრისათვის“.

ამდენად, კონსტიტუციაში მსგავსი ჩანაწერის გაჩენა შექმნის ზემოხსენებულ სოციალურ გასაცემლების ოდენობების საარსებო მინიმუმთან გათანაბრების საჭიროებას/სამართლიან მოლოდინს, რომლის ასახვაც უნდა გადაწყდეს მოსალოდნელი საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშების საფუძველზე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია საარსებო მინიმუმის დადგენის პერიოდულობაც, რომელიც ცვლადია და მასზე დამოკიდებულება მნიშვნელოვნად გაართულებს მის ადმინისტრირებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნიშანდობლივია, რომ სოციალური დახმარების საკითხებს აწესრიგებს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ სოციალური დახმარების მიმღებ პირთა წრეს და არეგულირებს მის მიღებასთან